

ON ONE PROSE VERSION OF “A LAD FROM PARAVANI”

„თავფარავნელი ჭაბუკის” ერთი პროზაული ვერსიის შესახებ

Ketevan Barbakadze

Doctor of Pedagogy, Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+995577151211, qbarbakadze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

Abstract. There are 16 variants of the folk ballad “A Lad from Paravani” which are available for us. However, we came across the prose version of it in the third part of writings of Javakheti Travelling (“One Part of Javakheti”) by the 19th century famous person Ilia Alkhazishvili (1853-1921) (periodically was published in “Iveria”, “Droeba” and other Georgian press). Ilia Alkhazishvili’s recordings focus on folklore and ethnography spread in villages, abandoned villages and Javakheti. His works are not interesting scientifically according to folklore since a place, time, identity of a recorder and age are not often kept. The prose version of “The Lad of Tavparavani” does not follow this rule. The inhabitant of the village _ Koteli, which was described in Alkhazishvili’s companion E. Rostomashvili’s narration, tells about the name of abandoned village _ Khumrisi existing near lake Tbatiskuri. In this narration there is not a witch and there is only a story of two lovers, which ended with the girl’s joke. The same story was made up about “Lake of Paravani” by I. Alkhazishvili, where the boy died of the girl’s betrayal.

The mentioned prose narration was probably created by the author-speaker himself to explain the foundation of the village Khumrisi and represents a kind of transformation of a folk ballad.

Key words: Ilia Alkhazishvili, Khumrisi, Parvana, A lad from paravani.

ქეთევან ბარბაკაძე

პედაგოგიკის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., N53, 1400, საქართველო,
+995577151211, qbarbakadze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

აბსტრაქტი. ხალხური ბალადის „თავფარავნელი ჭაბუკის” 16-ოდე ვარიანტია ჩვენამდე მოღწეული. თუმცა, პროზად გადმოცემულ სიუჟეტს წავაწყდით XIX საუკუნის თვალსაჩინო მოღვაწის, ილია ალხაზიშვილის (1853-1921) ჯავახეთში მოგზაურობების (პერიოდულად ქვეყნდებოდა „ივერიასა”, „დროებასა” და სხვ. ქართულ პრესაში) ჩანაწერების („ბუნება და ცხოვრება”) მესამე ნაწილში („ერთი კუთხე ჯავახეთისა”). ილია ალხაზიშვილის ჩანაწერებში გზა და გზა მახვილდება ყურადღება სოფლებსა,

ნასოფლარებსა და ჯავახეთში გავრცელებულ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაზე, მისი ნაშრომი არაა მეცნიერულად საინტერესო ფოლკლორისტიკის თვალსაზრისით, რამდენადაც ხშირად არაა დაცული არც ჩაწერის ადგილი, დრო, ჩამწერის ვინაობა, ასაკი. „თავფარავნელი ჭაბუკის“ პროზაული სიუჟეტიც ამ წესს არ მისდევს. ჰყვება ალხაზიშვილის თანამგზავრის ი. როსტომაშვილთან აღწერილი სოფელი კოთელის მცხოვრები ტაბაწყურის ტბასთან მდებარე ნასოფლარის ხუმრისის სახელწოდებასთან დაკავშირებული გადმოცემაზე. მოყვანილ გადმოცემაში არ ფიგურირებს კუდიანი დედაბერი, გადმოცემულია მხოლოდ ორი შეყვარებულის ისტორია, რომელიც გოგოს ხუმრობამ შეიწირა, იგივე ამბავი გაუგონია ი. ალხაზიშვილს „ფარვანას ტბაზე“, როცა ვაჟი გოგოს მუხანათობით დაიღუპა.

აღნიშნული პროზაული გადმოცემა, შესაძლოა თვით ავტორ-მთქმელის მიერ სოფელ ხუმრისის დაარსების ასახსნელადაა შექმნილი და წარმოადგენს ხალხური ბალადის ერთგვარ ტრანსფორმაციას.

საკვანძო სიტყვები: ილია ალხაზიშვილი, ხუმრისი, ფარვანა, „თავფარავნელი ჭაბუკი“.

შესავალი. ქართული ხალხური ბალადები, რომლებიც უძველესი დროიდან გადადის თაობიდან თაობაში უცნობი ავტორ-მთქმელისაგან სხვადასხვა დროის მთქმელების მეშვეობით, ზოგჯერ მოარულ ამბავსაც უკავშირებს შესაფერ სიტუაციაში ამა თუ იმ გადმოცემასაც. ერთი ასეთი მაგალითია ბალადის, „თავფარავნელი ჭაბუკის“ თემა, რომელმაც გაუძლო საუკუნეებს. მასში გადმოცემულია წყალგაღმა მყოფი ქალ-ვაჟის სამიჯნურო ისტორია, რომელიც ბოროტი დედაბრის მზაკვრული ქმედებით ტრაგიკულად დასრულდა. სავარაუდოდ ბალადა 16-იოდე ჩანაწერთაა ცნობილი (ეს, რაც პრესაში იქნა გამოქვეყნებული). „ვალკეულ კუთხეთა ვარიანტების გავრცელება მიუთითებს აღმოსავლეთ საქართველოზე. ტექსტი მოტივთა დიდ სიმყარეს ამჟღავნებს წყალ (ზღვის, ტბის) გაღმა, აშკარდოს (ასპინძას, ჩაშკას, საფარას) მცხოვრები ქალის (ასპანას ქალი, ფაშკუნჯის ქალი, გასპარას ქალი, ერევნელი ქალი) სიყვარული ვაჟისადმი (თავფარავნელი, ამფარავნელი, თავფარავნელი, მთაფარავნელი, თამფარავნელი, ზემოქართლელი, თამარაშნელი) ქერაი ჭაბუკის გასვლა წყალში ქალის მიერ დანთებული სანთლის შუქზე, ავი (სულ-ძაღლი, სულელი, სულ-მყრალი) ბებრის მიერ სანთლის გაქრობა და წყვდიადში დარჩენილი ვაჟის დაღუპვა უკლებლივ ყველა ჩანაწერში გვხვდება. ვაჟის დაღუპვით გამოწვეული ქალის მწუხარების თემა ერთადერთ, 1899 წელს ს. ბაზალეთში ჩაწერილ (#3) ვარიანტშია ვრცლად გაშლილი. მასვე ეხმაურება მესხეთში ი. გვარამაძის მიერ ჩაწერილი მოკლე ტექსტი” (ქართული ხალხური პოეზია, 1978: 353 - ხაზი ჩვენია - ქ.ბ.). ზემო ქართლში, მესხეთში, ი. გვარამაძის მიერ ჩაწერილი ტექსტების მოძიებით დავინტერესდით . ი. გვარამაძის მიერ ჩაწერილი ტექსტის ნაწილი, თვით „სატრფიალო ლექსების“ კრებულში (ი. მასალები, ახალციხე, ფ. 68) გამოქვეყნებულია:

„თავფარავნელი ჭაბუკი საფარას ქალსა ჰყვარობდა,
ქალსა სანთელი დაენტო სანთლი კელაპტარობდა.
ერთი სულძაღლი ბებერი აქრობდა ნეფეს ღვარობდა,
ჭაბუკი წყალში დაახრჩეს, ნაპირას ყუნჭულაობდა”.
(ქართული ხალხური პოეზია, 1978: 352)

სამწუხაროდ, ამ ტექსტის დედანს ვერ მივაგენით მუზეუმის ფონდებში. ჩვენი ყურადღება კი შეჩერდა ზემო-ქართლურის მესხური ვარიანტებიდან პროზაულსიუჟეტიან გადმოცემაზე, მაგრამ, სანამ აღნიშნულ საკითხს

მივუბრუნდებოდეთ, აუცილებელია ზოგადად მკვლევართა ნააზრევის მიმოხილვა, რაც საკმარისზე მეტია. ვახტანგ კოტეტიშვილი თავფარავნელის სიუჟეტს „მხოლოდ ქართულ ნიადაგზე“ აღმოცენებულად არ თვლის. „არსებობდა ძველ საბერძნეთში მითოსი ჰეროსა და ლეანდროსის შესახებ. ამათ ერთმანეთი უყვარდათ. ქალი კომპში იჯდა, ვაჟი კი ზღვის მეორე მხრიდან მისცურავდა ქალისაკენ, რომელიც კომპში ჩირაღდანს უნათებდა გზის გასაკვლევად. ერთხელ ზღვა აბობოქრდება, ჩირაღდანი ჩაქრება, ვაჟი გზას ჰკარგავს და იღუპება. ვაჟ-უფლისწულის ცხედარს მებადური დაიჭერს და ნაპირზე გამოიტანს, ჰერო დასტირის და თავს იკლავს. ეს ფაბულა ბალადის სახით დაწერა ოვიდიუსმა, რომელიც შემდეგ, საშუალო საუკუნეებში, ათასნაირად გადამუშავდა“ (კოტეტიშვილი, 1961: 329).

იგივე აზრს იზიარებს ინგა ადამია „ბერძნულ მითოლოგიაში გავრცელებული არაერთი ამბავი ანალოგიას პოულობს ქართულ და კავკასიურ ფოლკლორში. „ს. ყაუხჩიშვილის აზრით, შესაძლებელია იმისი დაშვება, რომ აღნიშნული თქმულება ჰეროსა და ლეანდრეზე საბერძნეთში მას შემდეგ გაჩნდა, რაც ბერძნული სამყარო მჭიდროდ დაუკავშირდა აღმოსავლეთს ალექსანდრე მაკედონელის მეშვეობით. საგულისხმოა, რომ ამგვარი თქმულება შემოგვინახა ქართულმა ფოლკლორმა „თავფარავნელი ჭაბუკის“ თავგადასავლის სახით, რაც უნდა მოწმობდეს ბერძნული თქმულების აღმოსავლურ წარმომავლობას“ (ადამია, 2013: 184).

სამწუხაროდ, ძველთაძველი მითების წარმომავლობის საკითხს წინამდებარე სტატიაში არ შევეხებით, მაგრამ საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთ ინფორმაციას წარმოვადგენთ ნაშრომის ძირითად ნაწილში.

მეთოდები. გამოყენებულ იქნა კომპარატივისტული კვლევის მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. 1978 წელს გამოვიდა შალვა ალხაზიშვილის მიერ შეკრებილი ჯავახეთში მოღვაწე შესანიშნავი ბუნებისმეტყველის, ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფის ილია ალხაზიშვილის წიგნი „ჯავახური ლეგენდები“. რეცენზიაში ნათქვამია „მარტო ის რად ღირს, რომ ქართველთაგან უპატრონოდ მიტოვებულ ახალქალაქში თითქმის ოთხი წელი იმსახურა, ქომაგობდა იქ ქართულ ენას, განათლებას, კულტურას. საერთოდ, მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 ათწლეულის დასაწყისში ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფოლკლორული მასალა დაგვიტოვა „ჯავახეთის ლეგენდების“ სახით. ნაშრომს წამმღვარებელი აქვს შოთა ძიმიგურის შესანიშნავი წინასიტყვაობა, მაგრამ მონოგრაფია საკუთრივ ილია ალხაზიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოამზადა და გამოსცა ახალციხის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მუშაკმა მელანო გოგოლაძემ: „ნაშრომში წარმოდგენილია ილია ალხაზიშვილის კულტურულ-საგანმანათლებლო, ფარმაცევტული, სამწერლო, სამეცნიერო, ლექსიკოგრაფიული, ჟურნალისტური და ფოლკლორისტული საქმიანობა“ (გოგოლაძე, თ.გ.: 3).

ყოველივე ეს კარგად მოჩანს ჯავახეთში მოგზაურობების ჩანაწერებში, რომლებიც სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა (XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ხოლო შეკრიბა კრებულისთვის შალვა ალხაზიშვილმა). მოგზაურობები რამდენიმე ნაწილიანია. მესამე ნაწილში, რომელშიც ტაბაწყურია აღწერილი მთელი მისი ბუნებითა და ფაუნით ი. ალხაზიშვილს თურმე დაემგზავრა ორი კაცი: ბარალელი და კოთელიელი. ავტორისეული შენიშვნით: „ამ ორი წლის წინათ, 5-6 სული ქურთი მოინათლა და ახლა ბარალელი და კოთელიელი ამ ქურთების აქ დასახლების საქმეზე ამოსულიყვნენ“. (ალხაზიშვილი, 1978: 69). კოთელიელი უყვება სტუმრებს ქართული სოფლების კოთელიასა და ჭიხარულის მცხოვრებთა ტრაგედიას, რომლებიც ვერ იღებენ დასახლების ნებართვას. არა და აქ ადრე ბერძნებს უცხოვრიათ („ადრე აქ ბერძნები ცხოვრობდნენ, პასკევიჩის დროს (1828-30) ოსმალეთიდან გადმოსახლებულნი, მაგრამ

მერე ისევ ყარსისკენ გადასახლებულან. ხუმრისში უფრო ძველად კი ქართველთა სიცოცხლე დუღდა და ახლა მოწმედ საქართველოს აქ მეფობისა სულიმანია დაგვრჩენია, რომელსაც ამ ათიოდე წლის წინათ თავისი ბებია ქრისტიანული წესით დაუმარხავს.

აქვე არის თლილი ქვით ნაშენი ეკლესია წმინდა გიორგის სახელობაზე” (ალხაზიშვილი, 1978: 70). სულიმანას კი შეხვედრია ალხაზიშვილი ხუმრისში, მაგრამ ლეგენდა კოთელიელს უამბია: „-აი გაიმბოთ, რად დარქმევია ამ სოფელს ხუმრისი, - დაიწყო კოთელიელმა და განაგრძო: - აი, ეს სოფლები ხო ერთმანეთს გაჰყურებენ...ხუმრისელი ავთანდილი წითელწყაროელი თინათინის ემზით იწოდა, მაგრამ ტბის სივრცე-სიღრმე ხელს უშლიდა. მოგეხსენებათ, თუ კაცმა მოინდომა, შეუძლებელი არაფერია. სიყვარულით გამსჭვალულმა ბიჭმა ბოლოს ისეთი ცურვა ისწავლა, რომ მთელი ტბა და მისი სიღრმე სახუმაროდ მიაჩნდა. რომ დაღამდებოდა, ტბის იქით ნაპირას გოგო დაიჭერდა ანთებულ კვარს და ან ნიშანზე აქედან ეცემოდა ბიჭი ტბას და 3-4 ვერსის მანძილზე ცურვა-ცურვით ხელად გოგოსთან გაჩნდებოდა. დიდხანს ტკბებოდა ქალ-ვაჟი სიყვარულის ცეცხლის შრეტით, მაგრამ ამათაც ჩაშხამდათ ნეტარება-თაფლი ძიმწარედ გადაექცათ. მოგეხსენებათ ანდაზა: რასაც კაცი თავის თავს უზამს, მტერი ვერ უზამსო. ერთხელ გოგო ეხუმრა თავის მიჯნურს: მე რომ კვარი არ აგინთო, შენ ვერც კი მომაგნებო. ბიჭს, ცოტა არ იყოს, ეწყინა: მე ხუთ ვერს ტბას მკერდით ვაპობ და ეს რაებს მეუბნებო?! ქალმა განაგრძო: ი მტყუანს ძირძიდა, რო ყველაფერი ჩემი უნარიო...”

გაიარა კარგმა დრომ და აკი იხუმრა გოგომ! ერთ ღამეს, კუმეტ ბნელაში ი დალახვირლმა, ჯერ აანთო კვარი და მერე, როცა ივარაუდა, ახლა შუა ტბამდე იქნებო და კვარი ჩააქრო. ბიჭმა, გზა-კვალაბნეულმა, უნიშნოდ, წყვიდად ბნელაში ცურვით ნაპირს ვედარ მიაგნო, იტრიალა, იტრიალა და მკლავებმოდუნებული ტბის უფსკრულში შთაინთქა. ეს ამბავი გოგომ შეიტყო თუ არა, - დაუდგა თვალი, - გაგიჟდა მწუხარებისაგან და ისიც ტბაში გადავარდა, რომ საფლავიც ერთი ჰქონოდათ და მეგობარნი სულნი საიქიოსაც ერთად შემტკბარიყვნენ. ხალხმა თქვა: ეს ვერაფერი ხუმრისი (ხუმრობა) იყოო?!” (ალხაზიშვილი, 1978: 70).

ამკარაა, სოფლები ხუმრისი და წითელწყარო ტაბაწყურის ტბის საპირისპირო მხარეებზე მდებარეობდნენ, მაგრამ ი. ალხაზიშვილის თანამგზავრი ივანე როსტომაშვილი თავის ნაშრომში, რომელშიც აღწერს ახალქალაქის მახრის სოფლებსა და იქ შემოგარენის ისტორიულ ნაშთებს, არსად ახსენებს ამ სოფლებს, სამაგიეროდ, მოცემული აქვს სოფელ კოთელიას აღწერა (Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, 1898).

კოთელიას შესახებ ი. როსტომაშვილი აღნიშნავს, რომ იგი მდებარეობს ახალქალაქის ჩრდილოეთით, 15 ვერსის დაშორებით, დასახლებულია მართლმადიდებელი ქართველი მოსახლეობით, რომელთა შორისაა მიწათმფლობელი ალექსი ბერიძე, კარაბადინი და სჯულის კანონი რომ ინახება. აქვეა ყოფილი წმ. კვირიკეს, ამჟამად წმ. გიორგის სახელობის ტაძარი ხუცური წარწერებით. (Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, 1898: 77-78 თარგმანი ჩვენია - ქ.ბ.) როსტომაშვილი ისევე ჩაიხატავს დოლაბს, რომლის დანიშნულებაზეც იგი მიანიშნებს: „ახალქალაქის საქალაქო სასწავლებლის მუზეუმში ინახება გათხრების დროს ნაპოვნი 5 გამოთლილი ქვა ოვალური ფორმისა $\frac{1}{2}$ არმინის სიგრძის, რომელიც სავარაუდოდ ცომის გასაბრტყელებლად გამოიყენებოდაო.

მკვლევარი ილია მაისურაძე (სტატიაში „თავფარავნელი ჭაბუკის” ზოგი სიტყვის განმარტებისათვის”) იმოწმებს რუსთავში მცხოვრები (ყოფილ ჯავახეთის განძის სოფრომ ყავრელიშვილის მოთხრობაში მოყვანილ დოლაბის დამზადების წესს: „დოლაბს გამოყვანა უნდა. ეს უბრალო გახვრეტილი ფიცარი არ არის. მას აკეთებენ ფისიანი (მკვრიანი) ხისგან, ახმოებენ ორ წელიწადს, მერე უსმევენ ცხელ თხის ქონს და თაფლის

სანთელს გარშემო. არც წყალში იჟლინთება, არც მზეზე ხმება, გინდა წლობით ეგდოს” (მაისურაძე, 1969: 213). აქვე მინიშნებულია ის ფაქტიც, რომ „ბანაობისა და ცურვის დამხმარე საშუალებად” გამოყენებულიაო.

ამდენად, „თავფარავნელი ჭაბუკის სხვადასხვა ვარიანტებში მოხსენიებული დოლაბი შეიძლება იყოს ქვის გახვრეტილი (ხელის გასაყრელი) ან გამოყვანილი ხის, რაც გამოიყენებოდა ჯავახეთში ცურვის დამხმარე საშუალებად.

კოთელიელის მიერ მოთხრობილი (ილია ალხაზიშვილითან მოხსენიებული) ტაბაწყურთან მდებარე ნასოფლარის ხუმრისის შესახებ ლეგენდა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ჯავახეთში, რაზეც მიგვანიშნებს თვით ილია ალხაზიშვილიც: „ესევე ლეგენდა გამიგონია ფარავნის ტბაზე (უდიდესი ტბაა ჯავახეთში) ფარავნელი გოგო კვარს უნათებდაო და გამოლმოდან ქოროდლის მთის ნაპირებიდან, ბიჭი პეპელა ფარავნასებრ ამ შუქზე ტბაში ცურვით გადიოდაო. ბოლოს ესეც გოგოს მუხანათობით ტბაში დაიღუპა და მას აქეთაა ტბას ფარვანა ეწოდებოდა” (ალხაზიშვილი, 1978: 70). აღნიშნული ვარიანტი, ვფიქრობთ, ჯავახეთის ფოლკლორულ ჩანაწერებშია საძიებელი, რაც წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ვერ მოხერხდა.

აღვნიშნავთ, რომ „თავფარავნელი ჭაბუკის” ბალადა საკმაოდ პოპულარული ყოფილა აღმოსავლეთ საქართველოში, რაც გამოიხატა ჯერ კიდევ 1928 წელს ერთაწმინდაში (ია კარგარეთელის მიერ ჩაწერილი). ამავე სიუჟეტზეა აგებული ოვანეს თუმანიანის პოემა „ფარვანა”, ზურაბ ლავრელაშვილის „მკვდარი თევზების ტბა” (მოვიხსენიებთ მხოლოდ ნაკლებად შესწავლილ ტექსტებს).

დასკვნები. „თავფარავნელი ჭაბუკის” ხალხური ბალადის განსხვავებული ვარიანტის ძიებამ მიგვიყვანა ილია ალხაზიშვილის მიერ ჩაწერილ პროზაულ ტექსტამდე, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ხალხური ბალადის პოპულარობას და ბადებს ეჭვს მისი ჯავახური წარმომავლობის შესახებ.

გარდა ამისა დღის წესრიგში დგება საკითხის დღემდე უცნობი ვარიანტების მოძიების სამცხე-ჯავახეთის ფოლკლორში.

გამოყენებული ლიტერატურა

ადამია, ი. (2013). *საქართველო ბაირონის შემოქმედებაში (ტრანსლაციური ანალიზის თვალსაზრისით)*. თბილისი: თსუ.

ალხაზიშვილი, ი. (1978). *ჯავახური ლეგენდები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

გოგოლაძე, მ. (თ.გ). *ილია ალხაზიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა*. თბილისი.

კოტეტიშვილი, ვ. (1961). *ხალხური პოეზია*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.

მაისურაძე, ი. (1969). „თავფარავნელი ჭაბუკის” ზოგი სიტყვის განმარტებისათვის. *ქართული ფოლკლორი*. III. მ. ჩიქოვანის მოღვაწეობის 40 წლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

მახაური, ტ. (2011). „თავფარავნელი ჭაბუკი“ და გერმანული ბალადა „უფლისწული და მეფის ასული“. *ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები*. III. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ქართული ხალხური პოეზია. (1978). ტ. VI, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. (1898). #25.

REFERENCES

- adamia, i. (2013). *sakartvelo baironis shemokmedebashi (t'ranslatsiuri analizis tvalsazrisit) [Georgia in Byron's Work (from the point of view of translational analysis)]*. Tbilisi: TSU.
- alkhazishvili, i. (1978). *javakhuri legendebi [Javakhi Legends]*. Tbilisi: Publishing House „Merani“.
- gogoladze, m. (n.d). *ilia alkhazishvilis tskhovreba da moghvats'eoba [Life and Work of Ilia Alkhazishvili]*. Tbilisi.
- k'ot'et'ishvili, v. (1961). *khalkhuri p'oezia [Folk Poetry]*. Tbilisi: Publishing House „Sabchota mtserali“.
- maisuradze, i. (1969). „tavparavneli ch'abuk'is“ zogi sit'qvis ganmart'ebisatvis [For the Definition of Some Words of “the Lad of Paravani”]. *kartuli polk'lori [Georgian Folklore]*. III. m. chikovani's moghvats'eobis 40 ts'lisadmi midzghvnil sametsniero k'onperentsia [Scientific Conference dedicated to 40 years of M. Chikovani's work]. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- makhauri, t'. (2011). „tavparavneli ch'abuk'i“ da germanuli balada „uplists'uli da mepis asuli“ [“The Lad of Paravani” and German Ballad “The Prince and The Princess”]. *polk'lorul-etnografiuli nark'vevebi [Folklore-Ethnographic Essays]*. III. Tbilisi: Publishing House „Universali“.
- kartuli khalkhuri p'oezia [Georgian Folk Poetry]*. (1978). VI. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- Sbornik materialov dlja opisaniya mestnostej i plemen Kavkaza [Collection of Materials for Describing the Locals and the Tribes of the Caucasus]*. (1898). #25.